

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის სამოქალაქო საზოგადოების გაფართოებული წარმომადგენლობით გაიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2018 წლის 16 ივლისს, 13:00 სთ–ზე.

**ამოცანები:**

- გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის განხილვა და შეთანხმება
- გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის განხილვა და შეთანხმება
- აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის სტრატეგიული გეგმების საბოლოო ვერსიებზე შემოსული კომენტარებისა და მათზე უკუგების განხილვა

**ესწრებოდნენ:**

<i>მაია ლაგვილავა</i>	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, პასკ–ის თავმჯდომარე
<i>ირმა ხონელიძე</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე
<i>ქეთევან ჩხატარაშვილი</i>	კონსულტანტი
<i>ქეთევან სტილია</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
<i>გიორგი კუჭუხიძე</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტბ პროგრამის მენეჯერი
<i>ლელა სერებრიაკოვა</i>	გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი
<i>მაკა დანელია</i>	გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი
<i>ნატალია ზაქარეიშვილი</i>	გაეროს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი - გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამების ანალიტიკოსი
<i>თინათინ კოტრიკაძე</i>	ექიმების საზღვრის გარეშე
<i>ლამა თვალაშვილი</i>	რეალური ხალხი, რეალური ხედვა, პასკ–ის წევრი
<i>დავით ჯიქია</i>	ტუბერკულოზის კოალიცია, საქართველოს პაციენტთა კავშირი
<i>ლალი ჯანაშია</i>	ტუბერკულოზის კოალიცია, საქართველოს პაციენტთა კავშირი

<i>გელა ფილიშვილი</i>	საქართველოს პაციენტთა კავშირი
<i>ნიკოლოზ მირზაშვილი</i>	საქართველოს პაციენტთა კავშირი
<i>დავით ალბაზაშვილი</i>	საქართველოს პაციენტთა კავშირი
<i>ლაშა აბესაძე</i>	არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“
<i>ნათია ლოლაძე</i>	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
<i>ქეთევან მინდელი</i>	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
<i>ცირა მერაბიშვილი</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
<i>გოჩა გაბოძე</i>	ასოციაცია „ბროწეული“
<i>ნინო ბოლქვაძე</i>	თანასწორობის მოძრაობა
<i>ხათუნა თოდაძე</i>	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, პასკ-ის წევრი
<i>მაკა გოგია</i>	საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი, გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის დირექტორი, პასკ-ის წევრი
<i>მაია წერეთელი</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
<i>ნინო წერეთელი</i>	საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი – თანადგომა, აღმასრულებელი დირექტორი, პასკ-ის წევრი
<i>ნინო კაკულია</i>	ქ. თბილისის მერია
<i>ნინო ბადრიძე</i>	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი
<i>ეკა სანიკიძე</i>	ტუბერკულოზის კოალიცია, საქართველოს პაციენტთა კავშირი
<i>გიორგი სოსელია</i>	MdM, ადვოკატორების ოფიცერი
<i>გიორგი თაბაგარი</i>	თანასწორობის მოძრაობა
<i>დავით კახაბერი</i>	თანასწორობის მოძრაობა, პასკ-ის წევრი
<i>ნინო მამულაშვილი</i>	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
<i>ალექსანდრე ასათიანი</i>	გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი
<i>ნანა ნაბახტველი</i>	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA)
<i>დავით ანანიაშვილი</i>	საქართველოს პლიუს ჯგუფი, პასკ-ის წევრი
<i>ნათია ხონელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
<i>თამარ ზურაშვილი</i>	პოლიტიკის და ადვოკატორების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, პასკ-ის თავმჯდომარემ **ქ-ნმა მაია ლაგვილაძემ**, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის მიზანი: გლობალური ფონდის აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის განხილვა და შეთანხმება, ასევე აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების საბოლოო ვერსიებზე შემოსული კომენტარებისა და მათზე უკუგების განხილვა.

**ქ-ნმა ირმა ხონელიძემ**, დკსჯეც-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ, გააკეთა მოკლე მიმოხილვა პროცესის სტატუსთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის სტრატეგიის დოკუმენტები არაერთხელ იქნა გაზიარებული პასკ-ში, ასევე ქსს-ს წევრებს შორის. 10 ივლისამდე შემოვიდა როგორც პასკ-ის, ისე ქსს-ს მხრიდან კომენტარების, კომენტარები იქნა მიღებული ასევე ჯანმოს ექსპერტებისგან და შესაბამისად მოხდა მათი გათვალისწინება დოკუმენტებში. კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პროცესში მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. გლობალური ფონდის პროგრამების გაგრძელების განაცხადებთან დაკავშირებით ქ-ნმა ირმამ აღნიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრამდე მათი განხილვა მოხდა სამოქალაქო საზოგადოებისა და ძირითადი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან, დამატებით ელექტრონული ვერსიები გაზიარდა შესაბამის ჯგუფებში (PTF-ში და ტბ კოალიციაში) სამოქალაქო/სათემო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიღებისა და მათთან შეთანხმების მიზნით; პროგრამების გაგრძელების მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარები არ შემოსულა.

ქ-ნმა ირმა ხონელიძემ სიტყვა გადასცა **ქ-ნ ქეთევან სტვილიას**, გლობალური ფონდის აივ პროექტის მენეჯერს, რომელმაც წარმოადგინა გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა.

ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმით, რომლითაც ქვეყანა ადასტურებს, რომ აგრძელებს და ინარჩუნებს მიმდინარე გრანტის ძირითად მიმართულებებს. პროგრამებს შორის თანხების გაყოფის გადაწყვეტილების თანახმად პროექტის ჯამური თანხა 2019-2022 წლებისათვის შეადგენს \$9,348,442.47USD. თვითშეფასების ფორმა პროგრამის გაგრძელებაზე შედგება რამდენიმე სექციისგან, რომლებიც უნდა შეიცავდეს მოკლე ინფორმაციას (მაქსიმუმ 300-500 სიტყვა) და მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებათა და მხარდამჭერ დოკუმენტთა წყაროები. ქ-ნმა ქეთევანმა მოკლედ გააცნო დამსწრეებს თითოეულ სექციაში მოცემული შეკითხვები და მათზე გაცემული დასაბუთებული პასუხები. ძირითადი საკითხები:

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიმოხილვა: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში არ დაფიქსირებულა აივ ეპიდემიის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები. აივ-ის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით პროგრამების დაგეგმვა არ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ასაბუთებს პროგრამის გაგრძელების მიზანშეწონილობას.

- აივ პროგრამის ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია: შემუშავდა 2019-2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა, თუმცა წინა დაფინანსების მოთხოვნასთან შედარებით სტრატეგიის ფარგლებში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამოცანები, სამიზნე ჯგუფები არ შეცვლილა, სიახლე უკავშირდება 90-90-90 სტრატეგიის სამიზნეების. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენს პირველი 90, სტრატეგიის დოკუმენტში გაძლიერებულია შემთხვევების გამოვლენაზე მიმართული ღონისძიებები, ასევე, მსმ-ებში აივ ეპიდემიის კონტროლზე მიმართული ღონისძიებები აღნიშნულ პოპულაციაში მაღალი პრევალენტობის გათვალისწინებით.
- პროგრამების რელევანტობა და ეფექტურობა: ამ ნაწილში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია 90-90-90 სამიზნეების მიღწევის ვალდებულება 2022 წლისათვის. გამოყოფილია ორი ძირითადი ქვე-მიმართულება: მსმ-ები და გვიანი გამოვლენის პრობლემა და საუბარია იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია მათ გადასაჭრელად.
- ფოკუსი ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებაზე: მიმდინარე გრანტის მსგავსად, ახალ განაცხადშიც არის მიმართულებები, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებას. მათ შორისაა, აივ-ისა და ტუბერკულოზის სერვისების ინტეგრაცია ზოგად ჯანდაცვის სისტემაში, საინფორმაციო სისტემების, ფინანსური მექანიზმების გაუმჯობესება, გარდამავალი გეგმის აქტივობების განხორციელება რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მხარეს პროგრამების ეფექტურ გადაბარებას. აქვეა განხილული გლობალურ ფონდში პრიორიტეტული დაფინანსების ზემოთ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა.
- ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა: ადამიანის უფლებების დაცვით კუთხით საქართველო უერთდება ძირითად საერთაშორისო კონვენციებს და ეს საკითხი შესაბამისად არის ასახული კანონმდებლობაში. გენდერული საკითხები სულ უფრო და უფრო მეტად არის ასახული ეროვნული პოლიტიკის, რეგულაციების და პროგრამების, მათ შორის დაავადებათა კონტროლის სტრატეგიების შემუშავებისას. მოცემული პროგრამის გაგრძელება მოთხოვნა განაგრძობს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების მხარდაჭერას და თითოეული მოწყვლადი ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებას. შენარჩუნებული იქნება როგორც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ, ისე ლგბტ თემის ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.
- იმპლემენტაციის მიდგომების ეფექტურობა: მიმდინარე ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის ამოცანების ეფექტურ განხორციელებას და არ საჭიროებს ცვლილებებს. ქსს გააგრძელებს პროგრამების განხორციელებაზე ზედამხედველობას საზედამხედველო კომიტეტის მეშვეობით, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობას, გრანტების პრინციპული მიმღები კვლავ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი რჩება.
- მდგრადობის, გარდამავალი პერიოდისა და თანა-დაფინანსების საკითხები: ამ ნაწილში საუბარია აივ-ზე სახელმწიფო დაფინანსების წილის ყოველწლიურ ზრდაზე. იმპლემენტაციის ახალი ფაზისთვის (2020-2022) ქვეყანა აკმაყოფილებს თანა-დაფინანსების მოთხოვნებს: იზრდება პროგრამებზე და ჯანდაცვის სისტემებზე სახელმწიფო დანახარჯები, ხდება პროგრამების ძირითადი კომპონენტების პროგრესული გადასვლა სახელმწიფო დაფინანსებაზე, ასევე ხდება

დამატებითი ინვესტიციების 50% -ის გამოყოფა მოწყვლადი პოპულაციებისთვის გამიზნული ინტერვენციების დასაფარად. გლობალური ფონდის დაფინანსება მკვეთრად მცირდება, თუმცა ეს არ გამოიწვევს პროგრამების მოცულობისა და მოცვის შემცირებას ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან ხდება თანდათანობით პრიორიტული ინტერვენციების გადაბარება.

- თანდართული დოკუმენტები: აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა.
- განაცხადის ბოლო ნაწილი, დანართი წარმოადგენს ძირითადი და მოწყვლადი პოპულაციების პროცესში ჩართულობის მტკიცებულებას.

ქ-ნმა ქეთევანმა სიტყვა გადასცა **ბ-ნ გიორგი კუჭუხიძეს**, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერს, რომელმაც წარმოადგინა გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა.

ბ-ნმა გიორგიმ აღნიშნა, რომ აივ/შიდსის მსგავსად, ტუბერკულოზის შემთხვევაშიც პროგრამის გაგრძელების მოთხოვნა წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმით. ტუბერკულოზის პროგრამისთვის ახალი ალოკაცია მოიცავს შემდეგ პერიოდს: 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. პროგრამებს შორის თანხების გაყოფის გადაწყვეტილების თანახმად პროექტის ჯამური თანხა 2019-2022 წლებისათვის შეადგენს \$6,239,619.53USD. ბ-ნმა გიორგიმ მოკლედ გააცნო დამსწრეებს თითოეულ სექციაში მოცემული შეკითხვები და მათზე გაცემული დასაბუთებული პასუხები. ძირითადი საკითხები:

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიმოხილვა: წინა დაფინანსების მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, საქართველოში არ დაფიქსირებულა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები. აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა კლებას განაგრძობს, თუმცა ეს შემცირება 10%-ის ფარგლებში რჩება და შესაბამისად, ჯანმრთელობის რეკომენდაციის თანახმად, მნიშვნელოვან გავლენას ეპიდემიოლოგიურ სურათზე არ ახდენს. რეზისტენტული ტუბერკულოზის პრევალენტობა სტაბილური რჩება. შენარჩუნებულია როგორც სენსიტიური, ისე რეზისტენტული შემთხვევების გამოვლენის მაღალი მაჩვენებელი. ცვლილებები არ ფიქსირდება ეპიდემიის ძირითად განმარტობებელ ფაქტორებში, სარისკო ქცევებსა და მოწყვლად პოპულაციებთან მიმართებაში. შესაბამისად, ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ტენდენციების მიხედვით პროგრამების დაგეგმვა არ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს.
- ტბ პროგრამის ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია: მოხდა 2016-2020 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმის გადახედვა და ტუბერკულოზის ეროვნული რეაგირების პასუხში პრიორიტეტები და სამიზნეები განისაზღვრა 2019-2022 წლებისათვის. წინა დაფინანსების მოთხოვნასთან შედარებით ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ან ახალი მიდგომების გამოყენება.
- პროგრამების რელევანტობა და ეფექტურობა: განაცხადში აღწერილია მიმდინარე პროგრამების რელევანტობისა და ეფექტურობის მტკიცებულებები, რაც შენარჩუნებული იქნება ახალი პროგრამის ფარგლებშიც; მათ შორის აღსანიშნავია: ტუბერკულოზით გამოწვეული

სიკვდილობის მაჩვენებლის შემცირება, რეზისტენტული ტუბერკულოზის სტაბილური მაჩვენებელი, როგორც ახალ, ისე ნამკურნალე შემთხვევებში, მკურნალობის წარმატებული გამოსავლები, ბედაქილის პროგრამული გამოყენება.

- ფოკუსი ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებაზე: მიმდინარე გრანტის მსგავსად, ახალ განაცხადშიც არის მიმართულებები, რომელიც უზრუნველყოფს ტუბერკულოზის ინტეგრაციას ზოგად ჯანდაცვის სისტემაში (მაგალითისთვის მოყვანილია ორი მიმდინარე პროექტი: (1) სამეგრელო–ზემო სვანეთის და (2) აჭარის პილოტები). აქვეა გათვალისწინებული Xpert MTB/RIF აპარატების პირველადი ჯანდაცვის დონეზე ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა.
- ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა: ადამიანის უფლებების დაცვით კუთხით საქართველო უერთდება ძირითად საერთაშორისო კონვენციებს და ეს საკითხი შესაბამისად არის ასახული კანონმდებლობაში. საქართველოში ტუბერკულოზის შემთხვევები მამაკაცებში ორჯერ უფრო მეტია ქალებთან შედარებით, თუმცა ეს თანაფარდობა შესაბამისობაშია რეგიონის საშუალო მაჩვენებელთან. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის მიერ განხორციელებული ზომების გათვალისწინებით ამ მიმართულებით დამატებითი, სპეციფიკური ინტერვენციების დაგეგმვა ახალი განაცხადის ფარგლებში საჭირო არ არის.
- იმპლემენტაციის მიდგომების ეფექტურობა: მიმდინარე ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის ამოცანების ეფექტურ განხორციელებას და არ საჭიროებს ცვლილებებს. ქსს გააგრძელებს პროგრამების განხორციელებაზე ზედამხედველობას საზედამხედველო კომიტეტის მეშვეობით, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობას, გრანტების პრინციპული მიმღები კვლავ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი რჩება.
- მდგრადობის, გარდამავალი პერიოდისა და თანა–დაფინანსების საკითხები: გლობალური ფონდის მხარდაჭერა მკვეთრად მცირდება. ტუბერკულოზზე სახელმწიფო დაფინანსების წილი ყოველწლიურად იზრდება. იმპლემენტაციის ახალი ფაზისთვის (2020-2022) ქვეყანა აკმაყოფილებს თანა–დაფინანსების მოთხოვნებს: იზრდება პროგრამებზე და ჯანდაცვის სისტემებზე სახელმწიფო დანახარჯები, ხდება პროგრამების ძირითადი კომპონენტების პროგრესული გადასვლა სახელმწიფო დაფინანსებაზე, ასევე ხდება დამატებითი ინვესტიციების 50% -ის გამოყოფა მოწყვლადი პოპულაციებისთვის გამიზნული ინტერვენციების დასაფარად.
- თანდართული დოკუმენტები: სტრატეგიული გეგმა და მწვანე შუქი კომიტეტის მისიის ანგარიშები
- განაცხადის ბოლო ნაწილი, დანართი წარმოადგენს ძირითადი და მოწყვლადი პოპულაციების პროცესში ჩართულობის მტკიცებულებას.

ორივე პროგრამის გაგრძელების მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარები არ გამოთქმულა დამსწრეთა მხრიდან და აღნიშნული საკითხი შეთანხმებულად ჩაითვალა კომიტეტთან.

ქ-ნმა მათი ლაგვილავამ სიტყვა გადასცა **ქ-ნ ქეთევან ჩხატარაშვილს**, კონსულტანტს, რომელიც მუშაობდა საქართველოს 2019-2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე.

ქ-ნმა ქეთევანმა ისაუბრა ქს-ში გეგმის საბოლოო ვერსიის გაზიარების შემდეგ შემოსული კომენტარების შესახებ. აღნიშნული კომენტარები იყოფა ორ ჯგუფად: (1) საკითხები, რომლებიც სტრატეგიის პრეროგატივას სცილდება და წარმოადგენს კონკრეტული საადვოკაციო კამპანიების თემებს, რაზეც სამოქალაქო საზოგადოებამ მუშაობა უნდა განაგრძოს სტრატეგიის დამტკიცებისა და განაცხადის წარდგენის შემდეგ და (2) საკითხები, რომელიც რამოდენიმეჯერ იქნა განხილული და შეთანხმებული ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის (მაგ, ტრანსგენდერების გამოყოფა ცალკე ჯგუფად – ეს საკითხი სტრატეგიის შემუშავების ადრეულ ეტაპზე განხილული იქნა PTF-ზე და შეთანხმდა, რომ მცირე რაოდენობიდან გამომდინარე ცალკე ჯგუფად გამოყოფის საჭიროება არ იყო და მათი აივ სერვისებით უზრუნველყოფა მოხდებოდა მსმ-ების ჯგუფთან ერთად; შესაბამისად სტრატეგიაში ეს კომენტარი არ იქნა ასახული). თუმცა ტრანსგენდერების ზომის და ჯანმრთელობის საჭიროებების განმსაზღვრელი კვლევა შეტანილი იქნება სტრატეგიის დოკუმენტში. გარდა ამისა, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხრიდან იყო შემოსული გარკვეული კომენტარები (ძირითადი მოწყვლად ჯგუფების ახალგაზრდა წარმომადგენლებთან მიმართებაში), რომლებიც შესაბამისად ისახა დოკუმენტში.

**ქ-ნმა ნინო ბოლქვაძემ**, თანასწორობის მოძრაობა, ისაუბრა ტრანსგენდერი პოპულაციის საჭიროებებზე და აღნიშნა, რომ არსებობს მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფის აუცილებლობა. ასევე ისაუბრა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებებზე (როგორც სისხლის სამართლის კოდექსის და ანტიდისკრიმინაციული, ისე სახელწიფო შესყიდვების კანონის მხრივ), რაც ასახული უნდა იყოს სტრატეგიის დოკუმენტში.

ქ-ნმა ქეთევან ჩხატარაშვილმა განმარტა რომ სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს ყველა ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას (ეს საჭიროებები ასახული იყო გარდამავალი პერიოდის გეგმაში, რომლის აქტივობების ინტეგრირებაც მოხდა სტრატეგიის დოკუმენტში), თუმცა სტრატეგიის ფორმატი არ ითვალისწინებს კონკრეტული მუხლების ცვლილებებისა და მსგავსი დეტალების მითითებას. მსგავსი დეტალები წარმოადგენს ცალკე საადვოკაციო კამპანიების თემებს.

ქ-ნმა ქეთევან სტვილიამ აღნიშნა, რომ ტრანსგენდერების საკითხის ასახვა შესაძლებელი იქნება პროგრამულად (ლგბტ თემის მთლიანი ბიუჯეტის განხილვისას), უშუალოდ პროგრამების ბიუჯეტის შედგენისა და განხორციელების პერიოდში, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სამოქალაქო/სათემო წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა.

**ბ-ნმა ლაშა აბესაძემ**, ახალი ვექტორი, ხაზი გაუსვა ნემსებისა და შპრიცების პროგრამის მდგრადობის და ამ პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების წილის გაზრდის მნიშვნელობას.

ბ–ნმა გიორგი კუჭუხიძემ გააკეთა მოკლე შეჯამება ტუბერკულოზის სტრატეგიულ გეგმაზე შემოსულ კომენტარებთან დაკავშირებით: აღინიშნა რომ ძირითადი კომენტარები ეხებოდა სამიზნეებსა და ინდიკატორებს; მიღებული კომენტარები შესაბამისად იქნა ასახული დოკუმენტში.

ქ–მა მათა ლაგვილავამ შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრებს მონაწილეობისათვის.

#### **ძირითადი გადაწყვეტილებები:**

- პასკ–ი ეთანხმება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების წარმოდგენილ გაგრძელების მოთხოვნებს და რეკომენდაციას უწევს ქსს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

#### **ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი**

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი